სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2024 წლის 5 თებერვალი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის და „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 30/01/2018, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.120.016271) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა (დანართი №3) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №3

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

დასახელება	სარგო	საშტატო რიცხოვნობა
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის თანაშემწე	2178	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მდივან-რეფერენტი	1210	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მძღოლი	1573	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მძღოლი	1331	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – უფროსი სპეციალისტი სამეურნეო-ტექნიკურ საკითხებში	1331	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი სამეურნეო-ტექნიკურ საკითხებში	1067	2
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დამუშავების საკითხებში	1331	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მრჩეველი საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების საკითხებში	2178	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი ეკონომიკისა და ბიზნესინოვაციების საკითხებში	1595	1

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების სტატისტიკის საკითხებში	1331	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებში	1197	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში	1331	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის საკითხებში	1197	1
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში	1197	1
სულ		**15**

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ ჯამბურია**